გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

# ბორჯომი

4 მაისი
ხუთშაბათი
2023 წელი
№19 (9281)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

## აქცია თბილისში რესპუბლიკის მოედანზე
## „მოვდივარ" – საქართველო უპირველეს ყოვლისა!..

**აქცია, რომელიც დევიზით „მოვდივარ" თბილისში რესპუბლიკის მოედანზე რამდენიმე საათი მიმდინარეობდა და საღამოს 9 საათისათვის დასრულდა. ორგანიზებულად წარიმართა. შეკრების მიზნად ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკის მხარდაჭერა დასახელდა.**

აქციის ორგანიზატორებმა ხელისუფლებას რამდენიმე მოთხოვნა წაუყენეს - მათ შორის არის „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდისათვის შესაბამისი პოლიტიკური შეფასების მიცემა და ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა. აქცია **„უცნობისა" და ზაზა პაპუაშვილის** მიერ იყო



ორგანიზებული და იგი 2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. აქციის მთავარი სლოგანი იყო **„საქართველო უპირველეს ყოვლისა".** მას ათასობით ადამიანი დაესწრო. აქციის მონაწილეებს **ზაზა პაპუაშვილმა, გია გაჩეჩილაძემ, ახალგაზრდებმა, გურამ შარაძის ქალიშვილმა, რუსი შარაძემ, ვატო შაქარაშვილმა, გიორგი ზერეკიძემ, მარი მაისურაძემ, ბაქარ ადამიამ, ბუტა რობაქიძის დედამ ია მეტრეველმა, ცნობილმა პოლიტოლოგმა ირაკლი გოგავამ, ეროვნული მოძრაობის აქტივისტმა დაჩი ცაგურიამ, სოსო მანჯავიძემ, აზერბაიჯანელმა ალი მამედოვმა და სხვებმა.**

შეკრებილებმა უნდობლობა გამოუცხადეს საქართველოს პრეზიდენტს, მოითხოვეს წინა ხელისუფლების საქმიანობის საფუძვლიანი შესწავლა და დამნაშავეთა საკადრისად დასჯა.

სიტყვებში გამომსვლელებმა მკაცრი შეფასება მისცეს რადიკალური ოპოზიციური პარტიების საქმიანობას, ამასთან ხაზგასმით ითქვა საზღვარგარეთის ქვეყნების ჩვენს საშიანაო საქმეებში ჩარევის ფაქტების შესახებ. ოპონენტებს შეახსენეს, რომ საქარველოს მეტად მდიდარი წარსული აქვს და არ დაუშვებს მის შებღალვას. აქციის მონაწილეებს შეახსენეს, რომ ნეობოლშევიზმი იწვევს ჩვენნაირი ქვეყნისათვის „დემოგრაფიულ ზამთარს".

საქართველოსათვის უმთავრესია სუვერენული ეკონომიკის განვითარება, ჩვენი იდენტობის და რწმენის დაცვა, ევროპა გვინდა ცივილური, პროგრესული განვითარებისათვის და არა ელგებეტეს მოთხოვნების დამკვიდრებისათვის, დღეს ქართველი ერის უპირველეს ამოცანას და სლოგანს წარმოადგენს - **ღმერთი, ოჯახი, სამშობლო.**

ხაზგასმით ითქვა, **ვაფასებთ ჩვენს უცხოელი პარტნიორების რჩევებს და ჩვენი ქვეყნისადმი მხარდაჭერას, ვასრულებთ მათი 12 პუნქტიან რეკომენდაციებს. კეთილი ინებონ და შეასრულონ ჩვენი სამადსამი თხოვნა, აღიანონ საქართველოს დამსახურება მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის წინაშე, პატივი მიაგონ საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ჩვენს რწმენას და ადათ-წესებს! არ ჩაერიოთ საქართველოს შინაურ საქმეებში!**

დასასრულს გია გაჩეჩილაძემ მისი მეგობრები, აქციის ორგანიზატორები სცენაზე მიიწვია და მათთან ერთად სამშობლოზე იმღერა.

## მართლმადიდებელი ეკლესია გიორგობას აღნიშნავს



**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გიორგობას წელიწადში ორჯერ აღნიშნავს: 6 მაისს – წმინდანის აღსრულების დღეს და 23 ნოემბერს – მისი ბორბალზე წამების დღეს.**

**წმინდა გიორგი მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. მოგვიანებით, რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს მმართველობის დროს მხედართმთავარი გახდა. მას შემდეგ, რაც ქრისტიანებზე დევნა დაიწყეს, წმინდა გიორგი იმპერატორს განუდგა. ამის შემდეგ, კერპთაყვანისმცემელმა რომის იმპერატორმა წმინდანს ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა.**

**წმინდა გიორგის 303 წელს თავი მოჰკვეთეს. ის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც ძლევაშემოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი.**

**გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით პატრიარქი წირვა-ლოცვას სამების საკათედრო ტაძარში აღავლენს.**

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**26 აპრილს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი უძღვებოდა.**

**დეპუტატებმა დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტი 2023-2030 წლისთვის;**

**იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მარშრუტებისა და სამგზავრო მარშუტებზე ტარიფების დამტკიცების, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისა და ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი (უფასო) მგზავრობის შესახებ;**

**ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2023 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №97 დადგენილებაში;**

**ასევე ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №54 დადგენილებაში და „მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 მარტის №16 დადგენილებაში და „სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შესახებ მითითების, შემოწმების აქტის, უწყების, დადგენილების და სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 მარტის №17 დადგენილებაში;**

**მოისმინეს სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს" დირექტორის ქალბატონ ეკა ორჯონიკიძის ანგარიში 2022-2023 წლის ზამთრის სეზონზე გაწეული მუშაობის შესახებ.**

**ასევე მოისმინეს ა(ა)იპ „ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკი"-ს და ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის" ხელმძღვანელთა ინფორმაციები 2023 წლის საკურორტო სეზონის მზადებასთან დაკავშირებით;**

**იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 მარტის №გ-17.17230832, №გ-17.17230834, №გ-17.17230835 და №გ-17.17230836 განკარგულებებში ტექნიკური ცვლილების შეტანის შესახებ;**

**მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია 2023 წლის 20 იანვრის პეტიციასთან დაკავშირებით.**

## დადებითი ტენდენციები სახეზეა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია!



**26 აპრილს ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ორჯონიკიძემ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანგარიში წარუდგინა, რომელმაც მეტად საქმიანად, კონკრეტულად და კრიტიკულად გააანალიზა 2022-2023 წლის ზამთრის სეზონის განმავლობაში სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობა. მან ყურადღება გაამახვილა მსოფლიო ჩემპიონატის ბაკურიანში ჩატარების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ კურორტმა ღირსეულად უმასპინძლა ჩემპიონატს, რაც განპირობებული იყო სააგენტოს სამსახურების თავდაუზოგავი შრომითა და პროფესიონალიზმით.**

**სააგენტოს ხელმძღვანელმა ასევე ბაკურიანში არსებულ გამოწვევებსა და სააგენტოს იმ ინიციატივებზე ისაუბრა, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვან ცვლილებებს მოიტანს დაბისათვის.**

**სააგენტოს ხელმძღვანელის ანგარიში ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადებითად შეაფასა.**

## დასუფთავების აქცია



**ყოველწლიურად 22 აპრილს, დედამიწის დღე აღინიშნება,** აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ბორჯომის მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქცია გაიმართა. ბორჯომის მერიის ინფორმაციით, მონაწილეებმა პოლიეთილენის ბოთლების, პარკებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაწმინდეს ე.წ პლატოს მიმდებარე ტერიტორია. ასევე, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დასუფთავდა 50-მდე ლოკაცია.

დასუფთავების აქციაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** მერიისა და მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლები ჩაერთნენ. გარემოსდაცვით ღონისძიებას 150-მდე მონაწილე შეუერთდა.

აღნიშნული აქცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების" ინიციატივით და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გაიმართა.

დედამიწის დღე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი ღონისძიებაა, რომელშიც ყოველ წელს მსოფლიოს ორასამდე ქვეყანაში აღნიშნავენ. იგი 1970 წელს დაფუძნდა და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და დედამიწაზე სუფთა და ჯანსაღ გარემოზე ზრუნვას.

საქართველოში დედამიწის დღე პირველად 1990 წელს, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ინიციატივით აღინიშნა.

## სოციალური დახმარება ბენეფიციარებს

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ სოციალური პროგრამების ფარგლებში, აპრილის თვეში 187 488 ლარის დაფინანსება გასცა. აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა დახმარება 771 ბენეფიციარს გაუწია.**

**144 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 103 324 ლარი გამოიყო.**

**მედიკამენტების შესაძენად 80 ბენეფიციარი 13 643 ლარით დაფინანსდა.**

**ონკოლოგიური დაავადებების მქონე 20 პაციენტი 14 278 ლარით დაფინანსდა.**

**სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედმამით ობლებმა და სხვა ბენეფიციარებმა.**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტში 23-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება. პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა მხარდაჭერა, – აცხადებენ მუნიციპალიტეტის მერიაში.**

## ინტერვიუ აქტუალურ თემაზე

# გვინდა ბორჯომი კიდევ უფრო მიმზიდველი იყოს!

**მიმდინარე წელი საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ რეგიონებს ინფრასტრუქტურული განვითარების მასშტაბური ღონისძიებები დაუსახა. ყოველივე ზემოთქმულს იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მეტად თამამი და უმნიშვნელოვანესი პროექტის - ქვეყნის თერთმეტი რეგიონის, მათ შორის ბორჯომისა და ბაკურიანის საკურორტო სეზონის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის მეტად სოლიდური თანხა გამოყო, რომელიც ითვალისწინებს ტურისტულ, ისტორიულ და საკურორტო ობიექტების საფუძვლიან მოწესრიგებას, რაც მეტად სასიხარულოა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მეტად საპასუხისმგებლო ამოცანების პირნათლად შესრულებისაკენ განაწყობს.**

**ჩვენი გაზეთის სპეცკორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსს ქალბატონ ნინო გიუაშვილს და სთხოვა ჩვენი მკითხველებისათვის მოეთხრო, თუ რა სამუშაოები შესრულდება მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის დაბა-სოფლებში და თვით ქალაქ ბორჯომში.**



**- დიდი მადლობა, რომ დაინტერესდა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სამუშაოებით. ვიცით, რომ მოსახლეობას ნამდვილად აინტერესებს თუ რა გაკეთდება და აშენდება ჩვენს ხეობაში მიმდინარე წელს?**

მიმდინრე წელს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისათვის თანხები გამოყოფილია როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ბიუჯეტებიდან. სულ მიმდინარე წელს ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გამოყოფილია 18190888 ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წლისათვის სახელმწიფომ გამოყო 436 ათასი ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ თანხას ორჯერ მეტი 872 ათასი ლარი დაუმატა, ანუ სოფლების კეთილმოწყობისათვის 1308 ათასი ლარი დაიხარჯება.

**● კონკრეტულად, რომელი ობიექტების მშენებლობას და რეაბილიტაციას მოხმარდება თქვენს მიერ დასახელებული თანხები?**

- მუნიციპალიტეტში გვაქვს რამდენიმე გარდამავალი ობიექტი, რომლებიც წელს აუცილებლად უნდა დამთავრდეს, მათ შორისაა სააკაძის ქუჩის №2 ე.წ. მედიკების მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის გარე ფასადის რეაბილიტაცია, რუსთაველის ქუჩაზე სანაპირო სკვერის, სოფლების საკირის შიდა საუბნო გზის და მოლითის გზის, რობაქიძის ქუჩაზე მტკვრის ნაპირსამაგრი კედლის აღდგენა, დასრულდება კოსტავას სახელობის პარკის და მოედნის რეაბილიტაცია, ასევე ბორჯომში თორის ქუჩაზე და ბაკურიანში გზის ფერდობების დამჭერი კედლების მოწყობა, ახალდაბის საბავშვო ბაღის შენობის ფასადის და სხვა ობიექტების რეაბიოლიტაცია. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია მესხეთის ქუჩის №31 სახლში სამგზავრო ლიფტის და ამავე ბინაში შარშან ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად დაზიანებული ბინების, სოფელ სადგერიდან გოგირდის აბანოებამდე ჩასასვლელი საფეხმავლო ბილიკის, ციხისჯვარში სასმელი წყლის მაგისტრალის, ყვიბისში ე.წ. კვახიანის ღელეზე ნაპირდამცავი კედლის მოწყობა, საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების, ბავშვთა ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია, სანიაღვრეების მოვლა-პატრონობის სამუშაოების შესრულება და სხვა.

**● ყოველწლიურად სოფლის მხარდაჭერის პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს, წელს რა ღონისძიებებს ითვალისწინებს გაზრდილი ბიუჯეტი?**

- გეთანხმებით, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელობის უპირველეს საზრუნავს წარმოადგენს, რაც შეიძლება მალე დაუახლოვდეს სოფელი ქალაქს კეთილმოწყობით, ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მოსახლეობასთან მოეწყო შეხვედრები და რომელი ობიექტის აშენებაც მოითხოვეს, ის დავგეგმეთ.

**● სხვათაშორის მუნიციპალიტეტის დაბა-სოფლებში ყველაზე მწვავე გამოწვევაა სასმელი წყლის პრობლემის გადაწყვეტა.**

- დიახ, მუნიციპალიტეტის 13 დასახლების (მზეთამზის, დვირის, ქვაბისხევის, ჩითახევის, ლარების, ტაბაწყურის, საკირის, ცემის, ბეშეთის, ვარდგინეთის, კორტანეთის, ზანავის, ციხისჯვრის) მშრომელებმა მერიის ხელმძღვანელობასთან შეხვედრებზე სასმელი წყლის მოგვარების პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება.

**● არც სკვერების და ბავშვთა ატრაქციონების მშენებლობის საკითხი დაუტოვებიათ რეაგირების გარეშე.**

- ამ ობიექტების მშენებლობის საკითხი დაისვა ბაკურიანში, ბალანთა-ჭიხარულის, ტიმოთესუბნის, თორის, მოლითის, ტაძრისის, ცემის მშრომელების მიერ. სამწუხაროდ, ბევრგან თავიდანაა მოსაწყობი სკვერები და ტრენაჟორები. ბავშვთა გასართობი მოედნები მწყობრიდან გამოვიდა და მათ განახლება ესაჭიროება. კარგი იქნება თუ თვით მოსახლეობა მეტ მზრუნველობას გამოიჩენს ამ მეტად ძვირადღირებული ობიექტებისადმი.

**● და ბოლოს, ბორჯომელები ხშირად საყვედურობენ მშენებლებს ობიექტების უხარისხოდ აშენებას, ბევრგან მწყობრიდანაა გამოსული ბავშვთა გასართობი ატრაქციონები და დაზიანებულია სკვერები, ვის ევალება ამ ობიექტებზე კონტროლი?**

- გეთანხმებით, საზოგადოების პრეტენზიები მშენებელთა მიმართ სამართლიანია, დაზიანებული ობიექტებიც გვაქვს. ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად მუნიციპალიტეტის მერიამ გაამკაცრა მოთხოვნები მშენებელთა მიმართ. რაც შეეხება გასართობი ატრაქციონებისა და სკვერების დაზიანების შემთხვევებს, მეტი პასუხისმგებლობა მართებთ ადამიანებს, რომლებიც უდიერად ექცევიან საზოგადოებრივ საკუთრებას. ამ მიმართებით კონტროლი უნდა გააძლიერონ ზედამხედველობის სამსახურმა, დეპუტატებმა, რწმუნებულებმა და უბნის ინსპექტორებმა.

**დიდი მადლობა გულახდილი საუბრისათვის.**

**ესაუბრა ვალერიან ლომიძე.**

## მიწის სისტემური რეგისტრაცია გრძელდება

**მიწის რეგისტრაციის საკითხები ბევრ ადამიანს აინტერესებს, მით უფრო ახლა, როცა მიწის სისტემური რეფორმა დაიწყო. ეს ინფორმაცია იუსტიციის სამინისტრომ დიდი ხნის წინ გაავრცელა. მოქალაქეებს შეუძლიათ ვებ საიტზე ნახონ, კითხვები მაინც არის და მათ ამომწურავ პასუხს მივაწვდით.**

**მოსახლეობას კარგად ახსოვს გაზეთ „ბორჯომის“ 2022 წლის 22 აპრილის და 2022 წლის 21 ივლისის ნომრებში აქტიურად იქნა გაშუქებული მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის საკითხები.**

**მოსახლეობა დღესაც აკითხავს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და აინტერესებს სისტემური რეგისტრაციის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია.**



**- მადლობა გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციას აღნიშნული საკითხის გაშუქებისათვის.**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შევახსენებთ, სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში მიწის უფასო რეგისტრაცია 2024 წელს უნდა დასრულდეს. საჯარო რეესტრის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით რეგიონის ექვს მუნიციპალიტეტიდან, 2023 წელს მიწის რეგისტრაცია 48 დასახლებას შეეხება, 2024 წელს კი 34-ს.**

**გაცნობებთ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2023 წელს ჩატარებული მიწის რეგისტრაციის განრიგს.**

**ივნისი** - ტაძრისის თემი;
**სექტემბერი** - დვირის თემი;
**დეკემბერი** - ტბის თემი;
**ნოემბერი** - ყვიბისი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიწის რეგისტრაცია 2024 წელსაც გაგრძელდება.

**მარტი** - წაღვერის თემი;
**მაისი** - ციხისჯვარი;
**ივნისი** - ბალანთა-ჭიხარულის თემი;
**აგვისტო** - ტაბაწყური-მოლითის თემი;
**სექტემბერი** - ქალაქი ბორჯომი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ვაცნობებთ, თვალი მიადევნონ იუსტიციის სამინისტროს განრიგს და როცა მოუწევს თქვენი სოფლის მოსახლეობას უფასოდ ქონების დარეგისტრირება, მაშინ დაირეგისტრირეთ ქონება. თუ უფრო ადრე გინდათ მიწის დარეგისტრირება, მოგიწევთ მიწის რეგისტრაციისათვის დაწესებული თანხის გადახდა. ამ შემთხვევაში ნაკვეთის მფლობელმა საჯარო რეესტრში 300 ლარი უნდა გადაიხადოს, ხოლო თვითნებურად დაკავებული მიწის რეგისტრაციისთვის - 600 ლარის გადახდა მოუწევს.

**თედო მელიქიძე,**
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, სოფლის მეურნეობის მართვის საკითხებში.

## წარსულიდან

# ჩვენი ხეობის დაარსების ისტორიისათვის

**საჭიროა** სწორედ გააანალიზდეს ისტორიული ჭეშმარიტება. არასწორია ზოგიერთის მსჯელობა თვით კურორტ ბორჯომის სახელწოდების თაობაზე. მეცნიერების მიერ ერთხმად არის აღიარებული, რომ ბორჯომის სახელწოდებაც დაკავშირებულია ახალციხის რაიონის სოფელ ბორჯომის რამდენიმე ოჯახის გადმოსახლებასთან ტაშისკართან, ბორჯომის ხეობის შესასვლელ კარიბჭესთან სიახლოვეს, რომლებმაც ახალ დასახლებას შეუნარჩუნეს ისტორიული სახელი - „ბორჯომი“. აქ არსებულ სათვალთვალო კოშკს „ბორჯომის“ სახელი შეარქვეს, რაც შემდგომ მთელ ხეობაზე გავრცელდა. აღნიშნული კოშკი ერთგვარი საზღვარი იყო თურქეთსა და ქართლს შორის და იგი დაინგრა სურამ-ახალციხის გზის მშენებლობის გაფართოებასთან დაკავშირებით. კოშკში იდგა ქართული მილიცია, რომელსაც 1814 წლიდან შეუერთდა რუსების სამხედრო ნაწილი. აღნიშნული ისტორიული მოვლენა აღწერილია მრავალ მეცნიერულ წყაროებში და მასზე ეჭვს არავინ გამოთქვამს.



ცნობილია, რომ რუსეთის ჯარი ბორჯომის ხეობაში პირველად გამოჩნდა 1769 წელს გრაფ ტოტლებენის მეთაურობით, რომელიც შეუერთდა მეფე ერეკლეს თავისი მეომრებით ქალაქ ახალციხის გასათავისუფლებლად. ტოტლებენსა და ერეკლე მეორეს შორის ურთიერთ უთანხმოების გამო, აღნიშნული სამხედრო ოპერაცია არ განხორციელებულა.

მეორედ რუსეთის ჯარი ბორჯომის ხეობაში გამოჩნდა 1810 წელს კავკასიის მთავარმმართებლის ა. ტორმასოვის მეთაურობით, რომელმაც ალყა შემოარტყა ქალაქ ახალციხეს და ემზადებოდა მის დასაბრუნებლად.

საინტერესოა, რომ გენერალ ტორმასოვის ჯარის ნაწილების მთავარი ექიმის თანამდებობა ეკავა ივანე პრიბილს, ეროვნებით ჩეხ ექიმს. იმ პერიოდში ახალციხეში მძვინვარებდა შავი ჭირის ეპიდემია და ი. პრიბილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გენერალმა მოხსნა ალყა და უკან დააბრუნა ჯარის ნაწილები. 1810 წლის 4 დეკემბერს უკან დახეული ჯარის ნაწილები დაბანაკდნენ ბორჯომში, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, პეტრეს ციხის სიახლოვეს, ხოლო 5 დეკემბერს მათ გადმოინაცვლეს ასევე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. სოფელ ნუას, ყოფილი სასტუმრო „ბორჯომის“ ტერიტორიაზე.

არ არის გამორიცხული, რომ გენერალ ა.ტორმასოვის ჯარისკაცებს და თვით გენერალს არ ენახა ბორჯომის მინერალური წყლების საბადოები.

ამგვარად ი. პრიბილის დახმარებით გენერლის ჯარისკაცები გადაურჩნენ შავი ჭირის ეპიდემიას.

ი. პრიბილის ხელმძღვანელობით 1812 და 1816 წლებში ლიკვიდირებულ იქნა თბილისში შემოსასვლელთან და ყარსში შავი ჭირის, ხოლო 1830 წელს ქოლერის ეპიდემია.

აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ ვახუშტი ბაგრატიონს თავის ისტორიულ ნაშრომში, რომელიც XVIII საუკუნეში დაიწერა სახელი „ბორჯომი“. ხეობის დათვალიერებისას არ უხსენებია.

„ბორჯომის“ სახელი მტკვრის ხეობას ეწოდა 1819 წელს ე.ი. XIX საუკუნეში და არ შეიძლებოდა ვახუშტი ბაგრატიონს სცოდნოდა ბორჯომის სახელის არსებობა. ვარაუდით ისტორიული სახელების დადგენა ყოვლად დაუშვებელია.

1853 წელს ბორჯომს მიენიჭა დაბის სახელწოდება.

ზოგიერთი მკვლევარი მცდარად მიუთითებს გენერალ ვ. გოლოვინის საქართველოში ჩამოსვლის თარიღს. იგი, როგორც კავკასიის მთავარმართებელი მოღვაწეობდა 1837-1845 წლებში. პროვიზორ ვილემსმა ეკატერინეს წყაროს ანალიზი შეასრულა 1836 წელში.

ინტერესს არ არის მოკლებული ის გარემოება, რომ არც ერთ მკვლევარს: ჟან შარდენს (1672წ.), ი. გულდენშტეინს (1771 წ.), ბროსე და დუბუას (1830 წ.) და არც პოლკის უფროსს მურავიოვყარსკის, რომლებიც აღფრთოვანებით აღწერენ ხეობის ფლორას და ფაუნას, არცერთი მათგანი არ იხსენიებს ბორჯომის მინერალური წყლების საბადოებს, რასაც თავისი ახსნა გააჩნია.

ზოგიერთი ავტორი შეცდომით მიუთითებს ფაქტებს და მოვლენებს, რაც მათ აზროვნებაზე მიუთითებს. ნაციონალ-შოვინისტურ საგაზეთო სტატიით ვერ შელახავს ისტორიულ ფაქტებს, მოვლენებს და წარსულის ჭეშმარიტებას, რაც ავტორებმა მომავალში უნდა გაითვალისწინონ.

**დასკვნის სახით შეიძლება დაბეჯითებით ითქვას - ისტორიული დოკუმენტების შესწავლას დიდი შრომა და ოფლის ღვრა ესაჭიროება, არავის აქვს უფლება ზერელედ, ვარაუდის დონეზე გამოთქვას საკუთარი აზრი, რომელიმე ისტორიული მოვლენის თუ ფაქტის შესახებ. ისტორიის გაყალბების უფლება არავის აქვს.**

**არასდროს დაგვავიწყდეს ჩვენი წინაპრების ბრძნული გამონათქვამი: „თუ წარსულს თოფს ესვრი, მომავალი ზარბაზანს გესვრისო“.**

**ბორჯომის ისტორიასთან დაკავშირებული მასალების გამოქვეყნებას მომავალშიც გავაგრძელებთ, რათა ახალგაზრდობამ საფუძვლიანად შეისწავლოს და გააანალიზოს მშობლიური კუთხის მძიმე ისტორიული წარსული.**

**მოამზადა ვალერიან ლომიძემ.**

**დასასრული, დასაწყისი იხ. გაზეთი „ბორჯომი“ №15,17 2023 წელი.**

# 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაულია!

## არავინ და არაფერია დავიწყებული

### გულანთებული მამულიშვილი

**რაიონის საფინანსო განყოფილებას ათეული წლების განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა ბორჯომელთათვის და ფინანსთა სამინისტროში პატივისცემით მოსილი ესოდენ ქვეყნისთვის კეთილშობილი ადამიანი, სამამულო ომის ვეტერანი, პროფესიონალი ფინანსისტი, ბატონი სამსონ გუგუშერიძე.**



**კაცი,** რომელიც თავის დიდ ცოდნას, გამოცდილებას, ადამიანურ სითბოს არ აკლებდა თანამშრომლებს. რაც მთავარია, უშურველად ეხმარებოდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნულ ახალბედა სპეციალისტებს, აცნობდა საფინანსო და საბიუჯეტო მუშაობის სპეციფიკას.

დაღლილ-დაქანცულს ყოველთვის ყოფნიდა ნებისყოფა, თანამშრომლებთან და მოსულ მოქალაქეებთან კორექტული ყოფილიყო, მოთმინებით ასმენდა მათ და საჭირო ღონისძიებებსაც ატარებდა ნებისმიერ პრობლემური საკითხების დროულად გადაჭრისათვის.

სამსახურიდან ყველაზე გვიან ის ტოვებდა სამუშაო კაბინეტს.

ბატონი სამსონი დროის სიმცირის მიუხედავად, იდეალური მეუღლე, მამა და ბაბუა იყო. სამსახურში, ოჯახში, სამეზობლოსა და სამეგობროში გულთბილ, თავაზიან პიროვნებად რჩებოდა.

სამსახურის გარდა ბატონი სამსონი ახალგაზრდობაში ცნობილი სპორტსმენი იყო და სპორტისადმი სიყვარული მოხუცებულობის წლებშიც გაჰყვა. შვილებიც აიყოლია ამ საქმეში და ვაჟი - ბიჭიკო წლების მანძილზე იყო შესანიშნავი ფეხბურთელი, ხოლო ქალიშვილი - იზო წარმატებული მაგიდის ჩოგბურთელი გახლდათ. მისი ხელშეწყობით მაშინდელი ჩვენი რაიონის ფეხბურთელთა გუნდი წარმატებით გამოდიოდა საქართველოს პირველობაზე, ამასთან, არაერთი წარმატებული ფეხბურთელი აღუზარდა ბორჯომს, რომლებმაც კარიერა უფრო დიდ ქალაქებში გააგრძელეს.

ბატონმა სამსონმა რაიონის დაბა-სოფლებში ხელი შეუწყო ფეხბურთის განვითარებას და მოზარდი თაობის ფეხბურთში ჩაბმის საკითხებიც მოგვარდა. სისტემატიურად ტარდებოდა ქალაქის თუ რაიონული პირველობები.

ასაკში შესული კვლავაც აქტიური იყო შრომაშიც, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც, მაგრამ ერთ წელიწადსაც ბატონ სამსონს სთხოვეს პენსიაზე გასულიყო და ადგილი ახალგაზრდა კადრისათვის დაეთმო.

ბატონ სამსონს დიდად არ გაკვირვებია ზემდგომთა გადაწყვეტილება, როცა იქნებოდა ხომ უნდა დაეტოვებინა სამუშაო ადგილი, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარი ის არის, რომ მისი წასვლა ღირსეულად უნდა აღნიშნულიყო, პატივი მიეგოთ მის მიერ გაწეული ერთგული სამსახურისათვის., აღენიშნათ მისი პატიოსანი და მაღალპროფესიული შრომა და ის წარმატებები, რაც მისი მოღვაწეობის დროს ქონდა რაიონს. მხოლოდ ძალიან ვიწრო წრეში აღინიშნა. მისადმი სიყვარული და პატივისცემა დღემდე შარავანდედით არის დამშვენებული, მას დღესაც ღირსეულად იხსენებენ. სწორედ ბატონ სამსონის მსგავს ადამიანებზე ამბობენ: **„აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესო!“**, ჭეშმარიტად რომ ასეა.

ჩემი აზრით, სწორედ ასეთი თავდადებული ბორჯომელების მაგალითზე უნდა იზრდებოდნენ დღევანდელი ახალგაზრდები.

### კაცი, რომლის ბორჯომის მშვენება იყო



**გოგი სუთიძე - თავისი დახვეწილი ინტელიგენტი ბორჯომელთათვის, განსაკუთრებით ჩემი თაობის ადამიანებისათვის საყოველთაო სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებდა.**

**მისი მოზომილი, დინჯი ნაბიჯები, ყურადღებიანობა, არა მარტო ბორჯომელთა, არამედ მრავალი სტუმრის, დამსვენებელთა და ტურისტების ყურადღებას იმსახურებდა.**

**იგი წლების მანძილზე სასტუმრო „ბორჯომის“ დირექტორი გახლდათ, სახლიდან სამსახურამდე მუდამ ფეხით დადიოდა, უარს ამბობდა ავტომანქანით სამსახურამდე მისვლაზე.**

**არც თუ** მცირერიცხოვანი კოლექტივი მის სამსახურში მისვლას სიხარულით ხვდებოდა ყურადღებიან, თბილ, სიმპათიური გარეგნობის ხელმძღვანელს.

ბატონი გოგი სუთიძე მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე იყო. მძიმე ბრძოლებს გადატანილი, დაჭრილი გოგი ოჯახს დაუბრუნდა. მაშინდელ პარტიის რაიკომში უმალ შეამჩნიეს ომგადახდილი, უპრეტენზიო კაცი, რომელსაც სხვებთან შედარებით არავისზე ნაკლები განათლება და საბრძოლო დამსახურებები არ ქონდა. არავის ადგილს არ უმიზნებდა და არავისთვის ფეხის დადება არ უცდია, იმ წლებში ბევრ ომგადახდილს ატალახებული ჰქონდა მაშინდელი პარტიის რაიკომი.

ომგადახდილი და მთავრობის ჯილდოებით მკერდდამშვენებული ბატონი გოგი „პლატოს“ პანსიონატის დირექტორად დანიშნეს.

საკმაოდ რთულ საქმეს მოკიდა ხელი. კურორტი ბორჯომი მაშინ ზენიტში იყო და დამსვენებლის სიმცირეს ნამდვილად არ უჩიოდა, ჩინიანი თუ უჩინო, სხვადასხვა გზებით ცდილობდა პანსიონატში საგზურის შოვნას, ამ სიტუაციაში რა უნდა ექნა სასტუმროს დირექტორს?

ომში გამობრძმედილი ბატონი გოგი ცდილობდა, მოზღვავებული სტუმრებისთვის გრაფიკი შეედგინა და ნელ-ნელა დაეკმაყოფილებინა მსურველები, ზოგიერთს თავისი დიდი ავტორიტეტის საფუძველზე სანატორიუმშიც გამოუნახავდა ხოლმე დროებით ადგილს და ასე მონაცვლეობით ეხმარებოდა ადამიანებს.

ბატონმა გოგიმ აღნიშნულ პანსიონატში წარმატებით იმუშავა, შემდეგ სასტუმრო „ბორჯომს“ ჩაუდგა სათავეში და მანამდე იყო, სანამ მისი რეკონსტრუქცია არ დაიწყეს. რეკონსტრუქციამ ულამაზესი შენობა მთლიანად შეიწირა და დღემდე გაურკვეველია, როდის აშენდება მოშიშვლებულ ტერიტორიაზე თანამედროვე სასტუმრო. ათჯერ მაინც გაიყიდა ყოფილი სასტუმროს ტერიტორია, მაგრამ მშენებლობის დაწყება ვერავინ გაბედა. არადა, სასტუმრო „ბორჯომი“ ჩვენი ქალაქის სავიზიტო ბარათი გახლდათ.

ბატონი გოგი სუთიძე მართლაც რომ ამშვენებდა ბორჯომის ქუჩებს, ის ნამდვილად იყო ჩვენი ქალაქის კოლორიტი. დამსახურებულ პენსიაზე გასული პატივცემული ბატონი გოგი დღესაც ახსოვს ადამიანებს, ვინც ვაჟკაცობის, ინტელიგენტობის, განათლების, სილამაზის ფასი იცის, მისი სახით ძალზე მნიშვნელოვანი პიროვნება დააკლდა კურორტს ქალაქს.

პირადად მე, რომელიც მის მიმართ გაცნობისთანავე უდიდესი პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული, მუხლმოდრეკილმა პატივი უნდა მივაგო მის ხსოვნას, რომ ამდენი ხანი ვერ შევძელი მადლობა მეთქვა მისი უნაკლო მოღვაწეობისა და დიდი ცხოვრებისეული ტრადიციებისათვის.

**ნათელში იყავით ბატონო გოგი, დალოცეთ თქვენი ტკბილი ოჯახი.**

წერილები მოამზადა **თემურ ხუხუნაიშვილმა,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

## ხელოვანის ცხოვრება

### საკუთარ საქმეზე შეყვარებული

**ერთია, როდესაც ადამიანს საკუთარი საქმე გიყვარს და კარგად გამოგდის ის, რასაც აკეთებ და მეორეა, როდესაც შენთვის საყვარელი საქმე ოჯახის წევრებისთვისაც იმდენად დიდი მაგალითი, სტიმული და მოტივაციაა, რომ საკუთარი შვილი სამომავლოდ შენ მიერ დაწყებულ საქმეს ღირსეულად აგრძელებს.**

**მოქმედი ქორეოგრაფის ცხოვრება გარდა იმისა, რომ დიდ ფიზიკურ შრომას მოითხოვს, ის ამავდროულად საკუთარი ცხოვრების საყვარელი საქმისადმი მიძღვნასაც გულისხმობს. ადამიანზე, რომლის შესახებაც მინდა ჩვენი გაზეთის მკითხველებს გიამბოთ, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მერმისის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი ნინო ყეინიშვილი გახლავთ. ამ შესანიშნავ ქალბატონს შორიდან ვიცნობდი, თუმცა ბოლო დროს იმდენად დადებითი და პოზიტიური შეფასებები მოვისმინე მისი მისამართით ნაცნობებისაგან თუ უცნობებისგანაც, რომ გადავწყვიტე ახლოს გამეცნო.**

**ქალბატონი ნინო**, გარდა იმისა, რომ ანსამბლს ხელმძღვანელობს, მოყვარულთა ჯგუფიც ჰყავს. ერთ-ერთმა მოყვარულმა მითხრა - თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით უდგება საკუთარ საქმეს, ის ისევე თავდაუზოგავად იხარჯება ჩვენთან, მოყვარულებთან როგორც საკუთარ მოსწავლეებთანო.



ნინო ყეინიშვილს საკუთარი ისტორიის მოსაყოლად რეპეტიციის დაწყებამდე ვესტუმრე ბორჯომის №3 საჯარო სკოლაში, სადაც კვირაში სამი დღე მოსწავლეებს ქართულ ხალხურ ცეკვას ასწავლის. ჩემი პირველი კითხვაც სტანდარტულად მის პირველ ნაბიჯებს უკავშირდებოდა ცეკვის სფეროში და ისიც თვალზე ცრემლმორეული და ხმა შეცვლილი იწყებს ადრეული ბავშვობის მოგონებების გახსენებას.

მიყვება, რომ მისი ინტერესი ცეკვის მიმართ ჯერ კიდევ პირველ კლასში დაიწყო, როდესაც სკოლაში შეიტყო, რომ ცეკვის წრე იხსნებოდა. ცეკვის წრეზე მისი პირველი პედაგოგი ქალაქ რუსთავში გახლდათ თემურ სიმონოვი, რომელმაც ქართული ცეკვის სიყვარულს აზიარა. ცეკვის დაწყებიდან ორ წელიწადში შერჩევის საფუძველზე ქიმიკოსთა კულტურის სახლში გადაყავთ და ქორეოგრაფიული სტუდიის წევრი ხდება, სადაც თითქმის მეათე კლასის ჩათვლით ცეკვავს. მისთვის ყველაზე დასამახსოვრებელი პირველი ცეკვა გახლდათ - აჭარულის სოლო. რუსთავის შემდეგ ცეკვას აგრძელებს აგრარულ უნივერსიტეტთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ. „გორდაში“ ბესიკ სვანიძის ხელმძღვანელობით, სადაც უკვე დიდ სცენაზე ხვდება.

აგრარული უნივერსიტეტის ანსამბლში ყოფნის დროს ქმნის ოჯახს და ხდება ბორჯომელების რძალი. მოღვაწეობას კი უკვე ბორჯომის კულტურის სახლში აგრძელებს. პირველად ქმნის გოგონათა ანსამბლს. ხოლო მას შემდეგ, რაც მისი გოგონები ბორჯომის №6 საჯარო სკოლის მოსწავლეები ხდებიან, სკოლის დირექტორისგან ქალბატონი ქეთევან ხაჩიძისაგან იღებს შემოთავაზებას, რომ სკოლაში დაარსოს ქორეოგრაფიული ანსამბლი. მიყვება, რომ მისთვის ანსამბლის ჩამოყალიბება და მისი ხელმძღვანელობა ადრეული ბავშვობის ოცნება იყო, როგორც დედა ოცნებობს საკუთარი შვილების ბედნიერებაზე ასევე ოცნებობდა, რომ ჰქონოდა საკუთარი ანსამბლი. მიაღწია კიდეც. რჩებოდა ანსამბლის სახელწოდება, რომელიც არ უნდოდა რომ სხვა ანსამბლების მსგავსი ყოფილიყო და ისევ და ისევ ქალბატონი ქეთევან ხაჩიძის ინიციატივით და რა თქმა უნდა ქალბატონი ნინოს თანხმობით ანსამბლს „მერმისი“ ეწოდა. „მერმისი“ რაც მომავალ თაობას ნიშნავს და ანსამბლის სახელწოდება ნამდვილად ამართლებს თავის სახელს, რადგან ეს ნამდვილად ასეა. ქალბატონი ნინო 20 წელიწადზე მეტია მომავალ მოცეკვავეებს უზრდის ჩვენ ქალაქსა და ქვეყანას. ანსამბლი 2000 წელს ჩამოყალიბდა და ამ წლების მანძილზე უამრავ კონკურსსა თუ ფესტივალში მიუღიათ მონაწილეობა. იხსენებს, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი მისთვის გახლავთ ფესტივალი „ოქროს მართვე“, სადაც ანსამბლი დაჯილდოვდა ნინო რამიშვილის სახელობის პრიზით. ასევე ფრიდონ სულაბერიძის სახელობის ფესტივალი „ფრიდონისეული“, სადაც ჯერ შესარჩევ ტურში ბორჯომში მიიღეს მონაწილეობა, ხოლო შემდეგ რეგიონალურ კონკურსში. მაშინ რეგიონიდან სულ სამი ანსამბლი შეირჩა. ორი ახალციხიდან, ხოლო ბორჯომიდან ანსამბლი „მერმისი“. ფესტივალს თვითონ ფრიდონ სულაბერიძე ესწრებოდა და მაშინ ეს იყო ანსამბლისთვის უდიდესი წარმატება. ბათუმში გამართულ ფესტივალში კი 12 გოგონას მიერ შესრულებულ ქალთა აჭარულს ქორეოგრაფმა ზაურ ლაზიშვილმა პირველი ადგილი მიანიჭა. 2012 წელს ანსამბლ „მერმისს“ მიენიჭა „სანიმუშო საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლის (სახალხო) წოდება. ამავე წელს ანსამბლი სახალხო არტისტის, ბატონ ომარ მხეიძის სახელობის გახდა. 2015 წელს კი დაჯილდოვდა „საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენით“. ზემოთ აღნიშნული, რა თქმა უნდა, სულ მცირედი ჩამონათვალია იმ წარმატებებისა, რაც ამდენი წლების მანძილზე ანსამბლს ხვდა წილად. მნიშვნელოვანია, რომ ქალბატონ ნინოს ყავს მოყვარულთა ჯგუფი, რომლებიც, ანსამბლის წევრების მსგავსად კვირაში სამი დღე ეუფლებიან ქართულ ხალხურ ცეკვას. ქალბატონი ნინოს ქალიშვილიც სალომე მაზმიშვილი, რომელიც ნაციონალურ ანსამბლ „სუხიშვილებში“ პატარა თაობას ასწავლის ხალხურ ცეკვას, კვირაში რამდენიმე დღე თავის მშობლიურ ქალაქშიც ახერხებს ჩამოსვლას და საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას პატარა ბორჯომელი მოცეკვავეებისთვის. ქალბატონმა ნინომ სიამაყით აღნიშნა მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ, რომელიც ტაძრისში მოცეკვავეთა ჯგუფის შექმნას უკავშირდება და რომლებიც ახლო მომავალში ბორჯომელი მაყურებლის წინაშე წარსდგებიან. ამბობს, რომ უნიჭიერესი ახალგაზრდები არიან და ბორჯომი ნამდვილად დაინახავს მალე, თუ როგორი თაობა იზრდება სოფლად.

ქალბატონი ნინო მიყვება, რომ 25 დეკემბერს მცხეთაში საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედთა ფედერაცია „ოქროს გუნდის“ მიერ ჩატარებულ საახალწლო ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა, სადაც ჯილდოდ გადაეცათ საგზური 50-ანი ფასდაკლებით თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ფეტიეში საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისათვის და 18-დან 26 აპრილის ჩათვლით ანსამბლი საკუთარი პროგრამით გაემგზავრა თურქეთში. ანსამბლმა წარმოადგინა ყაზბეგური, სვანური და ქართული ცეკვები. როგორც ყოველთვის, ანსამბლის მიერ შესრულებულმა საცეკვაო ნომრებმა მაყურებელთა უდიდესი მოწონება დაიმსახურა.

**როგორც ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, პროფესიონალიზმი სიტყვებით არა, საქმით მტკიცდება და ეს ანსამბლმა „მერმისმა“ (მცირე შემადგენლობით) მაინც თქვა, რისთვისაც მან დიდი მადლობა გადაუხადა თითოეულ მოცეკვავეს, მშობელსა და საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედთა ფედერაციის თავმჯდომარეს თემურ ტატიშვილს იმ დადებითი ემოციებისათვის, რაც მან ანსამბლს აჩუქა.**

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის თებერვალში გორში, ახალგაზრდა შემოქმედთა ფედერაციის „ოქროს გუნდმა“ ქალბატონი ნინო ოქროს ორდენზე წარადგინა. 2023 წლის 13-14 მაისს გაიმართება დაჯილდოვების ცერემონიალი „ოქროს ხალიჩა“ 2023, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული ანსამბლები მიიღებენ მონაწილეობას და მათ შორის იქნება ანსამბლი „მერმისიც“.

ივნისის ბოლოს ანსამბლი გამართავს სოლო კონცერტს, რომელიც იქნება ე.წ. საჩვენებელი საანგარიშო კონცერტი. მნიშვნელოვანია, რომ ანსამბლს 2025 წელს დაარსებიდან 25 წელი შეუსრულდება და როგორც ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, უკვე 2023 წლის სექტემბრიდან დაიწყებენ მზადებას მართლაც გრანდიოზული ღონისძიებისთვის. წინ ულამაზესი და მეტად დასამახსოვრებელი ღონისძიება ელის მთელ რეგიონსო.

უდიდესი წარმატება და წინსვლა გვინდა ვუსურვოთ საკუთარ საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებულ ქალბატონს, რომელიც მომავალ თაობებს გადასცემს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, იმ უნიკალური კულტურისა, რასაც ქართული ხალხური ცეკვა ჰქვია და რითიც ნამდვილად საამაყო გვაქვს ქართველებს.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

# გზების რეაბილიტაცია გრძელდება



**გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ დგვარსა და ქობისხევში.**

სოფელ დგვარში გზის რეაბილიტაცია ორ ეტაპად განხორციელდა და ჯამში, 1 კმ არმირებული ბეტონის საფარიანი გზა მოეწყო. პროექტი ითვალისწინებს, სანიაღვრე არხის და ეზოებამდე მისასვლელი გზის მოწყობას. ხოლო, ქობისხევში საჯარო სკოლის უკან მდებარე უბანში არმირებული ბეტონის საფარიანი გზა დაიგება.

ამ დროისათვის გზის დამცავი კედლების მოწყობა მიმდინარეობს.

უახლოეს დღეებში გზის რეაბილიტაცია დაიწყება სოფელ დვირში და ქვაბისხევში.

მიმდინარე წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტში ჯამში, 9კმ-მდე შიდა საუბნო და საქალაქთაშორისო გზა მოეწყობა.

გზების კეთილმოწყობის სამუშაოები, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

# შეხვედრა „ცოცხალი წიგნების“ ავტორებთან

**ბორჯომის** სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების, საგანმანათლებლო რესურსცენტრის და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტის „ცოცხალი წიგნები“-ს ფარგლებში ბორჯომელ ახალგაზრდებთან შეხვედრა მოაწყო.



მუნიციპალიტეტში მწერლებისა და პოეტების სტუმრობის მიზანს ნიჭიერი ადგილობრივი შემოქმედების გამოვლენა, მათთვის საინტერესო თემებზე დისკუსიის მოწყობა და თანამედროვე ლიტერატურის პოპულარიზაცია წარმოადგენდა.

პროექტის ფარგლებში ბორჯომს ოთხი პოეტი და მწერალი ესტუმრა, ესენია: **ელა გოჩიაშვილი, ლელა ცუცქირიძე, ნათია როსტიაშვილი და ნინო მოდრეკილაძე.**

აღსანიშნავია, რომ „ცოცხალი წიგნები“ საქართველოს კულტურისა სამინისტროს ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტია და გულისხმობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სოფლებისა და ქალაქების საჯარო სკოლებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, კულტურის სახლებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში თანამედროვე მწერლების სტუმრობას და მკითხველთან შეხვედრას. პროექტის ფარგლებში ეწყობა პოეზიის საღამოები და იმართება დისკუსიები ადგილობრივ მოსახლეობასთან მათთვის საინტერესო თემებზე.

# მრძნული აზრები

***
მტრობით მოიმკი მტრობასა,
სიყვარულით კი ძმობასა.
***
როცა სიკვდილი გვიახლოვდება,
სიცოცხლე უფრო ძვირფასი ხდება.
***
ადამიანს სპობს დარდი,
ისე ვით რკინას ჟანგი.
***
პატარა თუ დიდია,
კაცი, კაცის ხიდია.
***
ცრემლები ტირილისა,
შვებაა ტკივილისა.
***
თუ არ გსურს ცეცხლზე დაიწვა,
ცოლი თავზე არ დაისვა.
***
ცოლის გარეშე ცხოვრება
არაფრისი მაქნისია,
უცოლო კაცის ცხოვრება
უპირო სახნისია.
***
ყველა სულდგმულ-სულიერი
ცოდვილებად ვშობილვართ,
ისე გავალთ ამ ქვეყნიდან,
ვითომც არც კი ვყოფილვართ.
***
მწამს კრიტიკაც, კრიტიკოსიც,
ვინც რომ ნაკლზე მიგვითითებს
და შემთხვევით შეცდომებზე
არ დამაჭრის ხელზე თითებს.
***
ვინც რომ შენთან სხვებს აძაგებს
იგი სხვებთან შენც გაძაგებს.
***
ადამიანს არ დაადო
პირუტყვივით ფასია,
ყველას თავის თავი უყვარს
ვირია თუ კაცია.



***
ჯანმრთელობაზე ძვირფასი
ამქვეყნად არაფერია,
ჯანმრთელი ადამიანი
ყველაზე ბედნიერია.
***
დედაზე ტკბილი არაფერია,
დედა ამ ქვეყნად ყველაფერია.
მის სიდიადეს მის ბრწყინვალებას
ვერ შეედრება ვერაფერია.
***
დედით არსებობს ქვეყნიერება,
სიყვარული და ბედნიერება.
***
ყველა ერი მშვენიერია,
მხოლოდ ყველა ერში
ხალხი არის ჭრელია.
***
უმტერო არაფერია,
ყველაფერსა ყავს მტერია.
ბოროტება უფეხოა,
როგორც კაცი უწესო.
***
იმედი არის ყველასი,
მამშვიდებელი გულისა,
უფრო და უფრო ღარიბი
ხალხისა უბედურისა.
***
კეთილი კაცის ტირილი
არის ყველას ტკივილი.
***
ჯანმრთელობა სიცოცხლეა,
მუდამ ხალისიანი,
ჯანმრთელობით ლაღობს, ხარობს
ყველა ადამიანი.
***
ვერ შეასმენ სახარებას
კაცს ნაჩვევსა ანგარებას.
***
ქმრიან ქალთა ტრფობა
არის თავის მტრობა.
***
სიბერეში არავის სჭირდები,
ვით ნაცვეთი წინდები.
***
ქვეყნად რაც კი რამ არის,
რაც არსებობს, რაც არის,
კარგია თუ ცუდია,
ყველა დროებითია.
***
ქალი ნამყოფი ბევრთანა,
ვერ გაჩერდება ერთთანა.
***
გარეწრების ნდობა
არის თავის მტრობა.
***
კაცი დიდძალ ფულიანი,
ყველგან არის გულიანი.
***
ტყვია კაცსა ჭრის გულში,
არაკაცობა სულში.
***
რაც რომ ბუნებამ სიკეთით გამცნო,
ვალდებული ხარ, ქვეყანას ამცნო.

**გურამ ქუნცელი (ივანიძე),**
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

(გაგრძელება იქნება)

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი „ბორჯომი“ №14,17,18**

# კოტე მიქაბერიძის გახსენება



**ჩვენო საამაყო, კეთილო და ყველასათვის საყვარელო კოტე, 11 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან და 6 მაისს 80 წელი შეგისრულდებოდა.**

**შენი ოჯახისათვის, მეუღლისათვის, შვილებისათვის, შვილიშვილებისათვის და ახლა უკვე შვილთაშვილებისათვის ყოველი დღე შენი მონატრებით არის სავსე. რთულია იმ აზრთან შეგუება, რომ უკვე ამდენი წელია შენს გარეშე გვიწევს ცხოვრება, მაგრამ შენ ჩვენი ფიქრის ყოველდღიური თანამგზავრი ხარ, სამაგალითო ადამიანი, რომელსაც დრო და ჟამი ვერაფერს დააკლებს. სული გვეწვის, გული გვტკივა და გვენატრები, რადგან შენი შვილიშვილებისთვის მხოლოდ მოგონების გაზიარება შეგვიძლია. ვცდილობთ, არ ვუღალატოთ შენს ტრადიციებს და ისევე გავაგრძელოთ ცხოვრება, როგორი უბოროტო, მხიარული, თავდადებული და სტუმართმოყვარე ცხოვრების წესითაც ცხოვრობდი. არავინ ივიწყებს შენს სახელს, რადგან ჩვენ შენი, კოტე მიქაბერიძის ოჯახი ვართ. მუდამ ვიამაყებთ, თუმცა ცხოვრებას ვაგრძელებთ შენზე უსაზღვრო მონატრებით, რადგან დიდი სევდა და ტკივილი დაგვიტოვე. ძალიან გვიყვარხარ, გვენატრები და გვაკლიხარ.**

**შენი ოჯახი.**

# ქალი, რომელიც დააკლდა სამეზობლოს



**რუსთაველის ქუჩის №79-ის ბინის მეზობლებს კიდევ ერთი იმედი, თავისი საქმის პროფესიონალი, პატივცემული პიროვნება გამოაკლდა. 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ბორჯომის ყოფილი რაიონული საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების მთავარი ექთანი ქსენია აბრამაშვილი, რომელმაც ექვსი ათეული წელი მუხლჩაუხრელად იღვაწა ბავშვთა სიცოცხლის გადასარჩენად.**

**ქალბატონი ქსენია სამეზობლოში იყო ყველა ჩვენგანის გულშემატკივარი, უანგარო გულისხმიერებით გამორჩეული, მისი უდიდესი ძალისხმევით და ყურადღებით დავზარდეთ შვილები და შვილიშვილები.**

**მეზობლებისათვის მისი ამქვეყნიდან წასვლა ნამდვილად დიდი დანაკლისია. გვჯერა, რომ ქალბატონ ქსენიას მიერ გაწეული მადლი ანთებულ ლამპრად წაუძღვება საიქიოსკენ მიმავალ გზაზე და მარადიულ სასუფეველში დაიმკვიდრებს კუთვნილ ადგილს.**

**ღირსეული ქალბატონის სულის სადიდებელს ყოველთვის პატივს მიაგებს მისი აღზრდილი შთამომავლობა შვილიშვილებისა და შვილთაშვილების სახით.**

**უახლოესი მეზობლები.**

# მარგო მაცუკატოვის გამოსათხოვარი



**ჩვენო მარგო, ჩვენო მეგობარო, დავცქერით შენს სურათს და გვაგონდება ჩვენი ერთად ყოფნის ბედნიერი წუთები.**

**ბევრი საერთო გვქონდა... სამივეს... გვიყვარდა მხატვრული ლიტერატურა, ტატო, გალაკტიონი, შოთა...**

**მე და დალი ჩვენს ლექსებსაც მოვაყოლებდით ხოლმე... ჩვენ ჩვენი შეხედულებები გვქონდა ცხოვრებაზე, თანამედროვეობაზე... კიდეც ვკამათობდით.**

**იმ საბედისწერო დღეს კი... თბილისში წასასვლელად გამზადებულს დაგემშვიდობეთ... რა ვიცოდით, ეს დამშვიდობება თუ უკანასკნელი იქნებოდა...**

**თავზარი დაგვეცა, როცა ჯერ შენი ფეხის მოტეხის, შემდეგ კი მძიმე სენით დაავადების შესახებ შევიტყვეთ...**

**მძიმეა ჩვენი გულისტკივილი და განცდები... ვწუხვართ, რომ ჩვენი ჯანმრთელობიდან გამომდინარე, ვერ მიგაცილეთ შენს საბოლოო სამყოფელამდე...**

**გული არ დაგწყდეს, ჩვენო მარგო, მწუხარების ბევრი ცრემლიც გეფრქვევა და დიდი სიყვარულიც მიგდევს თან შენი უახლოესი მეგობრებისაგან...**

**იმედია, მარადისობაში შეივსებ იმ დიდ დანაკლისს მოფერებისას და ტკბილი სიტყვებისას, მშობლებისა და ძვირფასი მეუღლისაგან, რაც აქ გაკლდა და გულს გტკენდა...**

**ვასრულებთ შენს უკანასკნელ სურვილს და ვწერ ნაწყვეტს იმ ლექსიდან, რომელიც ძალიან გიყვარდა და გულთან ახლოს მიგქონდა:**

„ჩემო შვილო, ჩემო თვალისჩინო,
როს აღარ ვიქნები ცოცხალი ამქვეყნად,
ამოდი საფლავზე, გულს ვარდი მაბნიე,
თუ გეტირებოდეს, ცრემლებიც მაფრქვიე,
მითხარი ჩემთვის სანატრელი სიტყვები:
- „ჩემო ბაბუკა, ძლიერ მიყვარდი,
ძლიერ მიყვარდი და ძლიერ ვწუხვარ, რომ
ვერ მოვასწარი, ცოცხლად მყოფისათვის
მეთქვა შენთვის ეს თბილი სიტყვები“.

შენი მეგობრები: **ნანული დევიძე და დალი მეტრეველი.**

**ახლო მეზობლები: ომარ კიკაძე, გია, ნიკა, გელა გელაშვილები, ციცო ვარდიძე, ბესო ბეთიაშვილი, მერაბ ტალახაძე, ავთო ხრიკაძე, დათო ბლიაძე, ვასო მჭედლიძე, ხათუნა მიქელაძე, თეა ნიკოლაიშვილი, ჯემალ გუგუბერიძე, ჯემალ ჩადუნელი, რუბენ არუთინობი, ნინო იმედაძე თანაგრძნობას უცხადებენ (გოგი ბეთიაშვილის მეუღლის) ნანა ბლიაძეს ძმის**

**ჯონი ბლიაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ვლადიკა კაზანჯევის ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა**

**ლიდა სანდაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „სააროში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე